ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულო

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N18

6 დეკემბერი

2022 წელი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს V მოწვევის

საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრთა

სარეგისტრაციო სია

ქ.სამტრედია

6 დეკემბერი, 2022 წელი.

1. ტარიელ ცომაია - (კომისიის თავმჯდომარე) -
2. დავით ჯანელიძე -
3. ავთანდილ თადუმაძე -
4. გივი ჯულაყიძე -
5. გიორგი გაგუა -
6. ემზარ შუბლაძე -
7. ვალერიანე ფოცხვერია -
8. ვაჟა სტურუა -
9. ზაზა ადეიშვილი -
10. მანანა სირბილაძე -
11. პაატა კოხრეიძე -
12. ქეთევან კუტალაძე -
13. ჯონი ახობაძე -

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის

რიგგარეშე სხდომის

ოქმი N18

სამტრედია 6 დეკემბერი. 2022 წელი.

მიმდინარე წლის 6 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ტარიელ ცომაიას თავმჯდომარეობით ჩატარდა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: ტარიელ ცომაია, მანანა სირბილაძე, ჯონი ახობაძე, პაატა კოხრეიძე, დავით ჯანელიძე, გივი ჯულაყიძე, ვაჟა სტურუა, ზაზა ადეიშვილი,გიორგი გაგუა, ვალერიანე ფოცხვერია.

მოწვეული სტუმრები:

1. ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკისა და ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი-ნოე ივანიაძე.

დღის წესრიგი:

1.,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

2. ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 16 პროექტის მოწონების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი''-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-402157330) ფართების უზუფრუქტის

ფორმით, 02 წლით უსასყიდლო სარგებლობაში, გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულება.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

4. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში კოლეჯის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 90790 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.56.148) თხოვების ფორმით, 02 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულება.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

5. ,,ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285), ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ'' განკარგულება.

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

6. ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქ. N77-ში მდებარე 3603.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (N1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; N2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; N3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; N4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.08.66.045, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

/მომხსენებელი: ტარიელ ცომაია /

7. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (10) ხმით, კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი (10) ხმით იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი ,,2022 წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის

დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 აპრილის №გ-63.6322111001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე''.

ტარიელ ცომაია - მოგახსენებთ, რომ 2022 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დასახლებებისთვის გამოყოფილი თანხებიდან, სამუშაოების წარმოების შემდეგ დარჩა გარკვეული ეკონომიები:

1) სოფელ ბაშში: „ამბულატორიის შენობისთვის სველი წერტილების მოსაწყობად მასალების შეძენა" - ეკონომია 17 ლარი; „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 356,76 ლარი; სულ ბაშში ეკონომიამ შეადგინა 17+356,76=382,76 ლარი.

2) სოფელ გამოჩინებულში - „გარე განათების მოწყობის" სამუშაოების წარმოების შემდეგ დარჩა 223,87 ლარის ეკონომია.

3) სოფელ დაფნარში: „სანიაღვრე არხების გაჭრა-ამოწმენდა" - ეკონომია 5,41 ლარი; „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 204,32 ლარი, ჯამში - (5,41+204,32)=209,73 ლარი.

4) სოფელ დაბლა გომში: „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია - 248,47 ლარი.

5) სოფელ გომმუხაყრუაში: „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია - 99,72 ლარი; „გომის საბავშვო ბაღის წყალმომარაგებისთვის მასალების შეძენა" - ეკონომია - 130 ლარი, ჯამში - (99,72+130)=229,72 ლარი.

6) სოფელ გომნატეხებში: „გზის მოხრეშვა 1300 გრძ/მეტრზე 450 კბ/მ ბალასტით" - ეკონომია 1,32 ლარი; „სკვერის შემოსაღობად მასალების (მილ-კვადრატი, ცემენტი, ქვიშა-ღორღი, ფიცარი) შეძენა" - ეკონომია 535 ლარი; „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 19,37 ლარი, ჯამში - (1,32+535+19,37)=555,69 ლარი.

7) სოფელ კორმაღალში „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 115,95 ლარი.

8) სოფელ დობიროში: „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 80,92 ლარი.

9) სოფელ დაბლა ეწერში: „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 58,06 ლარი, „სოფელ დაბლა ეწერის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)" - ეკონომია 36,30 ლარი, ჯამში - (58,06+36,30)=94,36 ლარი.

10) სოფელ ზედა ეწერში: „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 99,44 ლარი; „სოფელ კორმაღლის სასაფლაოს შემოღობვა (ერთობლივი საპროექტო წინადადება)" – ეკონომია 15 ლარი, ჯამში - (99,44+15)=114,44 ლარი.

11) სოფელ გორმაღალში - „საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვის" სამუშაოების წარმოების შემდეგ დარჩა 76,39 ლარის ეკონომია.

12) სოფელ პატარა ეწერში: „სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და ხიდ-ბოგირის მოწყობა" - ეკონომია 64,40 ლარი; „სასაფლაოს შემოღობვა" - ეკონომია 188,35 ლარი; „მოსაცდელთან მისასვლელი გზის (ბილიკის) მოწყობა" - ეკონომია 29,68 ლარი, ჯამში - (64,40+188,35+29,68)=282,43 ლარი.

13) სოფელ ოჭოფაში, „არსებული სკვერის კეთილმოწყობის" სამუშაოებიდან ეკონომიამ შეადგინა - 234,79 ლარი.

14) სოფელ კეჭინარში: „ხიდ-ბოგირის მოწყობა და მოსაცდელის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 43,43 ლარი; „სპორტული მოედნის ინფრასტრუქტურის მოწყობა“ - ეკონომია 233,27 ლარი, ჯამში - (43,43+233,27)=276,70 ლარი.

15) სოფელ გვიმრალაში: „საბავშვო ბაღის მიმდებარედ გზისპირა მოსაცდელის მოწყობა“ - ეკონომია 155,35 ლარი; „საწრეტი არხების რეაბილიტაცია და მილ-ბოგირების მოწყობა“ - ეკონომია 46,01 ლარი; „ამბულატორიის ეზოს ღობის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 7,28 ლარი; „სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 5,74 ლარი, ჯამში - (155,35+46,01+7,28+5,74)=214,38 ლარი.

16) სოფელ ჯიქთუბანში: „გარე განათების მოწყობა“ - ეკონომია 209,85 ლარი; „სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია“ - ეკონომია 15,34 ლარი; „არსებული სკვერის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 37,67 ლარი, ჯამში (209,85+15,34+37,67)=262,86 ლარი.

17) სოფელ ახალსოფელში: „საწრეტი არხების რეაბილიტაცია“ - ეკონომია 1352,37 ლარი; „არსებული სპორტული მოედნის ღობის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 12,99 ლარი, ჯამში - (1352,37+12,99)=1365,36 ლარი.

18) სოფელ იანეთში - „გარე განათების მოწყობის“ სამუშაოების წარმოების შემდეგ დარჩა 386,69 ლარის ეკონომია.

19) სოფელ მელაურში: „ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა“ - ეკონომია 106,17 ლარი; „გარე განათებისთვის 3 ცალი ლითონის ბოძის მოწყობა“ - ეკონომია 26,84 ლარი; „საყანე ფართობებთან მისავლელ გზაზე ხიდ-ბოგირის მოწყობა“ - ეკონომია 111 ლარი; „ამბულატორიის ოთახის რემონტი და სველი წერტილების მოწყობა“ - ეკონომია 2120 ლარი, ჯამში - (106,17+26,84+111+2120)=2364,01 ლარი.

20) სოფელ ხიბლარში - „შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხებისა და მილ-ბოგირების მოწყობა“ - ეკონომია 956,80 ლარი.

21) სოფელ ნაბაკევში: „სკვერის კეთილმოწყობა“ - ეკონომია 1042,78 ლარი; „მუზეუმის ქუჩის ხიდ-ბოგირზე მოაჯირის მოწყობა“ - ეკონომია 137,40 ლარი, ჯამში - (1042,78+137,40)=1180,18 ლარი.

22) სოფელ ჩხენიშში: „ე.წ. მაღლა გორის უბანში სკვერის მოწყობა“ - ეკონომია 488,66 ლარი; „ცენტრალურ ქუჩაზე არსებული გზისპირა მოსაცდელის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 90,67 ლარი; „არსებული სკვერის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 21,28 ლარი, ჯამში - (488,66+90,67+21,28)=600,61 ლარი.

23) სოფელ ხუნჯულაურში: „არსებული სკვერის კეთილმოწყობა“ - ეკონომია 334,04 ლარი; „არსებული მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 431,62 ლარი, ჯამში - (334,04+431,62)=765,66 ლარი.

24) სოფელ ნინუაკუთხეში: „სოფლის ცენტრში არსებული მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 86,08 ლარი; „ე.წ. ნაბუტკოს უბანში არსებული სკვერის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 760,74 ლარი; „არსებულ მინი-სტადიონზე ორი ერთეული ღამის განათების დამატება“ - ეკონომია 49,30 ლარი, ჯამში - (86,08+760,74+49,30)=896,12 ლარი.

25) სოფელ კვირიკეში: „არსებულ მინი სტადიონზე ღამის განათების მოწყობა და ღობის რეაბილიტაცია“ - ეკონომია 275,11 ლარი; „არსებული სკვერის კეთილმოწყობა“ - ეკონომია 922,90 ლარი, ჯამში - (275,11+922,90)=1198,01 ლარი.

26) სოფელ პირველი ნიგორზღვაში: „გზისპირა მოსაცდელის მოწყობა კიკვაძეების უბანში" - ეკონომია 317,25 ლარი.

27) სოფელ მეორე ნიგორზღვაში: „ე.წ. მეწყნარის უბანში გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 136,04 ლარი; „სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია" - ეკონომია 9,89 ლარი, ჯამში - (136,04+9,89)=145,93 ლარი.

28) სოფელ ქვემო ნოღაში „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 260,34 ლარი.

29) სოფელ ზემო ნოღაში „შიდა სასოფლო გზების მოხრეშვა ეცადეიშვილების და გოგავების უბნებში" - ეკონომია - 1793,33 ლარი.

30) სოფელ ბუღნარაში: „ე.წ. მორეშავის უბანში გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 166,58 ლარი, „არსებული სტადიონის შემოსაღობად მასალების შეძენა" - ეკონომია 737 ლარი, ჯამში - (166,58+737)=903,58 ლარი.

31) სოფელ ღანირში „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 422,42 ლარი;

32) სოფელ ჭაგანში „გარე განათების მოწყობა" - ეკონომია 306,81 ლარი.
ზემოაღნიშნული ეკონომიების ასათვისებლად, მერის წარმომადგენლების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, მიზანშეწონილია დარჩენილი თანხა მიმართული იქნეს ყველა ზემოხსენებულ სოფელში მოსახლეობის მიერ შერჩეული შემდეგი პრიორიტეტის - „გარე განათების მოსაწყობად მასალების შეძენისთვის", რისთვისაც საჭიროა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ეკონომიების გათვალისწინებით შეიტანოს ცვლილება განკარგულებაში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (10) ხმით, ეთანხმება საკითხის გატანას ბიუროს სხდომაზე.

<u>**დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით**</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 16 პროექტის მოწონების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

კერძოდ,

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 16 პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა (რეგიონული განვითარების ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2	3	5	6	7
1	სოფ. ზუღნარაში ე.წ.ბაძგარას უბანში ა/ბეტონის საფარის მოწყობა	343141	17158	იანვარი	ოქტომბერი	325983
2	სოფ. ზუღნარაში გურიელიძეების უბნის მიმართულებით ა/ბეტონის საფარის მოწყობა	345780	10544	იანვარი	ოქტომბერი	335236
3	სოფ. ზუღნარაში ხუჭუებისა და მჟავიების უბანში ა/ბეტონის საფარის მოწყობა	132992	6650	იანვარი	ოქტომბერი	126342
4	სოფ. დიდი ჯიხაიშში N31; N33 და N34 ქუჩებზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა	509491	25475	იანვარი	ოქტომბერი	484016
5	სოფ. ოფეთში მდ. ხევისწყალასტან მდებარე საავტომობილო გზის გამაგრების სამუშაოები	16703	0	იანვარი	ოქტომბერი	0
6	სოფ. პატარა ოფეთში დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია	19380	0	იანვარი	ოქტომბერი	0
7	გრიბოედოვის ქუჩაზე (ყოფილი სამრეწველოზონის ტერიტორიაზე) მოშანდაკებითი, შეზვინვითი სამუშაოების, წყალსაწრეტი არხის მოწყობა	220161	11009	იანვარი	ოქტომბერი	209152
8	ეწერ-ბაშის შემოვლითი გზის მოასფალტება	104399	5220	იანვარი	ოქტომბერი	99179
9	რიონის მარცხენა სანაპიროზე სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულებთან მისასვლელი გზების მოწყობა	140863	7044	იანვარი	ოქტომბერი	133819
10	სალოკომოტივო დეპოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება	128130	6407	იანვარი	ოქტომბერი	121723

11	სოფ. ღანირში ეწ. მეგრელიშვილების და ნოე მანჯგალაძის უბანში ა/ბეტონის საფარის დაგება	141430	7072	იანვარი	ოქტომბერი	134358
12	სოფ. წაგანში საავტომობილო გზის ცენტრალური მაგისტრალისდან ა/ბეტონის დაგება	216634	10832	იანვარი	ოქტომბერი	205802
13	სოფ. პატარა ეწრის მთავარი გზის N1 ჩიხის მოასფალტება	16623	0	იანვარი	ოქტომბერი	0
14	იპოდრომის ჭიშკართან მისასვლელი გზისა და შიდა ეზოს მოასფალტება	53171	2659	იანვარი	ოქტომბერი	50512
15	თამარ მეფის ქუჩაზე არსებული თხევადი გაზით გასამარტ სადგურთან დაზიანებული ტროტუარზე ა/ბეტონის საფარის მოწყობა	14101	0	იანვარი	ოქტომბერი	0
16	ჭანტურიას ქუჩაზე N29;31;33;35 და ავტოსადგურის მიმდებარე მხარეს არხზე ცხაურების მოწყობის და არხის კაპიტალურად შეკეთება	23260	0	იანვარი	ოქტომბერი	0

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

გივი ჯულაყიძე - ვფიქრობ, რომ სალოკომოტივო დეპოსთან მისასვლელი გზის მოასფალტების საკითხი საჭიროებს შესწავლას. ამიტომ მე არ ვუჭერ მხარს ზემოაღნიშნულ საკითხს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (10) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი''-სთვის (საიდენტიფიკაციო ნომერი-402157330) ფართების უზუფრუქტის ფორმით, 02 წლით უსასყიდლო სარგებლობაში, გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულება.

კენჭისყრა.

1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს" (საიდენტიფიკაციო ნომერი-402157330) უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს:

ა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გომში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.12.47.046) 82.01 კვ.მ ფართი.

ბ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გორმაღალში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.14.42.016) 46.85 კვ.მ ფართი.

გ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ტოლებში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.10.48.015.01.500) 51.27 კვ.მ ფართი უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს ნანა ლორიას.

დ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.07.45.037.01.500) 106.95 კვ.მ ფართი უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს ნანა კინწურაშვილს.

ე) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეწერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ეწერში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.43.017.01.500) 43.14 კვ.მ ფართი.

ვ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნაბაკევში ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.53.019) 70.07 კვ.მ ფართი.

ზ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მელაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მელაურში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.05.46.040.01.500) 24.11 კვ.მ ფართი უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაეცეს დარეჯან ჩომახიძეს.

თ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ზაშში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.45.020) 22.40 კვ.მ ფართი.

ი) სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.04.41.059) 44.84 კვ.მ ფართი.

კ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ოფეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ოფეთში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.15.42.114) 112.75 კვ.მ ფართი.

ლ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ გამოჩინებულში მდებარე ადმინისტრაციული შენობიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.13.41.007) 11.5 კვ.მ ფართი;

მ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე 2778.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობა, შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 82.01 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.008).

2. უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლო სარგებლობის ვადად განისაზღვროს 02 (ორი) წელი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

ნოე ივანიაძე - ჰოლდინგთან დაკავშირებით მინდა მოგახსენოთ, რომ გამიჯვნის პროცესი დაწყებულია. ჩემი რჩევა იქნება, რომ ამ ეტაპზე უზუფრუქტის წესით გადავცეთ და როცა გაიმიჯნება ქონებები უზუფრუქტის ხელშეკრულება შეწყდება.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (10) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში კოლეჯის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 90790 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.56.148) თხოვების ფორმით, 02 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის შესახებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულება.

კერძოდ,

1. მიეცეს თანხმობა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში კოლეჯის საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას გადასცეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 90790 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.56.148) თხოვების ფორმით, 02 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში მდებარე 90790 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.02.56.148) თხოვების ფორმით, 02 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულება დადოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშში კოლეჯის საერთო საცხოვრებელში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ნდობით აღჭურვილ პირთან, რევაზ ხარჩილავასთან.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აზრი გამოთქვეს.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (10) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო ,,ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285), ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) და მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის

(რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის შესახებ'' განკარგულება.

კერძოდ,

1.1. ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

1.2. ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 2800 (ორიათასრვაასი) ლარი.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285) ბიჯი განისაზღვროს 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

1.5. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ. №7-ში მდებარე 69.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.58.285) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 1500 (ათასხუთასი) ლარის ოდენობით.

1.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2.1. ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

2.2. ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2.3. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 7700 (შვიდიათასშვიდასი) ლარი.

2.4. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) ბიჯი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

2.5. ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე 192.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.062) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 4000 (ოთხიათასი) ლარის ოდენობით.

2.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

3.1. მექანიკური სატრანსპორტო საშუალება - გრეიდერი (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) განისაზღვროს საპრივატიზაციო ობიექტად.

3.2. მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) პრივატიზება განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

3.3. ელექტრონულ აუქციონზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 132500 (ასოცდათორმეტიათასხუთასი) ლარი.

3.4. ელექტრონულ აუქციონზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) ბიჯი განისაზღვროს 5000 (ხუთიათასი) ლარის ოდენობით.

3.5. ელექტრონულ აუქციონზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების - გრეიდერის (რეგისტრაციის ნომერი - BB026Q, ტიპი - გრეიდერი, მოდელი - 122-B-1, სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი - 1741745) საგარანტიო თანხა განისაზღვროს 40000 (ორმოციათასი) ლარის ოდენობით.

3.6. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება რომ, ქალაქ სამტრედიაში, კოსტავას ქ.N7-ში მდებარე 69.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.08.58.285) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 8280 (რვაათასოთხმოცი) ლარი.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (10) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

<u>**დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით**</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ ცომაიამ, კომისიის წევრებს გააცნო ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქ. N77-ში მდებარე 3603.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (N1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; N2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; N3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; N4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების)

საკადასტრო კოდი N34.08.66.045, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 16 ნოემბრის N15/64432 მომართვისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2022 წლის 24 ოქტომბრის N01/2969 მიმართვის მიხედვით, იგეგმება ქალაქ სამტრედიაში, რიონის ქ. N77-ში მდებარე 3603.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (N1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; N2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; N3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; N4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.08.66.045,შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" კაპიტალში შეტანა.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს ქალაქ სამტრედიაში,ქ. N77-ში მდებარე 3603.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (N1 განაშენიანების ფართი 850 კვ.მ; N2 განაშენიანების ფართი 20 კვ.მ; N3 განაშენიანების ფართი 48 კვ.მ; N4 განაშენიანების ფართი 141 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N34.08.66.045,

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის წევრები (10) ხმით, ეთანხმება, რომ საკითხი გავიდეს ბიუროს სხდომაზე.

ინფრასტრუქტურის საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე: /ტარიელ ცომაია/

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის
საკრებულოს
ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის
სხდომის

ოქმი N 18

(14 ფურცლად)

სხდომის თავმჯდომარე: /ტ.ცომაია

2022 წელი